დანართი 1

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურაში მიღების წესი

1. ზოგადი დებულებანი

1.1 დოქტორანტურაში მიღების წესი (შემდგომში - წესი) არეგულირებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდგომში - თსუ) დოქტორანტურაში ჩარიცხვის პროცესს.

1.2 თსუ-ს დოქტორანტურაში მიღება ხორციელდება კონკურსის საფუძველზე.

2. დოქტორანტურაში მისაღებ კონკურსში მონაწილეობის უფლების მქონე პირები

2.1 თსუ-ს დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელების უფლება აქვთ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირებს, აგრეთვე რეზიდენტურის კურსდამთავრებულებს.

2.2 საზღვარგარეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული დოკუმენტების ფორმალური ცნობა (აღიარება) ხდება "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 50-ე მუხლის შესაბამისად.

3. საბუთების მიღება

3.1 საბუთების მიღების ვადები ყოველ სემესტრში მტკიცდება თსუ-ს რექტორის ინდივიდუალურ ადმინისტაციული-სამართლებრივი აქტით.

3.2 საბუთების მიღებას ახორციელებს ფაკულტეტების მიმღები კომისიები, რომელებსაც ფაკულტეტების წარდგინების საფუძველზე ამტკიცებს თსუ-ს რექტორი.

3.3 საბუთების მიღების პროცესს ორგანიზებას უკეთებს თსუ-ს საგამოცდო ცენტრი.

4. საბუთების ნუსხა

4.1 კონკურსანტი ვალდებულია მიმღებ კომისიაში წარადგინოს:

ა) განცხადება თსუ-ს რექტორის სახელზე;

ბ) განაცხადის შევსებული ფორმა;

გ) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომისა და დანართის დამოწმებული ასლი;

დ) პირადობის მოწმობის (პასპორტის) ასლი;

ვ) უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატის დამოწმებული ასლი, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

ზ) შესაბამისი ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულებაში მითითებული სხვა დოკუმენტები.

თ) კონკურსანტი, რომელსაც ქართულენოვან პროგრამაზე სურს სწავლა და მისი მშობლიური ენა არ არის ქართული, წარმოადგენს ქართული ენის B2 დონის დამადასტურებელ სერთიფიკატს, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

4.2 განაცხადის ფორმას ამტკიცებს თსუ-ს რექტორი.

4.3 კონკურსანტს წარმოდგენილი საბუთები კონკურსის დამთავრების შემდეგ უკან აღარ უბრუნდება.

5. მიმღები კომისიის უფლება-მოვალეობები

5.1 მიმღები კომისია ვალდებულია:

ა) მიიღოს საბუთები ამისათვის დადგენილ ვადებში;

ბ) შეამოწმოს წარმოდგენილი საბუთების შესაბამისობა სადოქტორო პროგრამის მოთხოვნებთან;

გ) შეამოწმოს აკმაყოფილებს თუ არა განმცხადებელი სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობებს.

დ) წარმოდგენილი საბუთების სადოქტორო პოგრამის მოთხოვნებთან და სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობებთან შეუსაბამობის შემთხვევაში, დაწეროს შესაბამისი დასკვნა, რომელიც თან უნდა ერთვოდეს საბუთებს.

6. საკონკურსო გამოცდაზე დაშვების წინაპირობები

6.1. კონკურსანტი, რომელიც

ა) დადგენილ ვადებში სრულად წარმოადგენს საბუთებს მიმღებ კომისიასთან;

ბ) წარმოადგენს დოკუმენტაციას, რომელიც შეესაბამება სადოქტორო პროგრამის მოთხოვნებს;

გ) აკმაყოფილებს სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობებს,

დ) ქართულენოვან პროგრამაზე აპირებს სწავლას და მისი მშობლიური ენა არ არის ქართული, ჩააბარებს გამოცდას ქართულ ენაში,

– დაიშვება საკონკურსო გამოცდაზე უცხო ენაში.

6.2 გამოცდას ქართულ ენაში ორგანიზებას უკეთებს თსუ-ს საგამოცდო ცენტრი.

7. საკონკურსო გამოცდა უცხო ენაში

7.1 საკონკურსო გამოცდას უცხო ენაში ორგანიზებას უკეთებს თსუ-ს საგამოცდო ცენტრი.

7.1 უცხო ენის გამოცდაში დადებითი შეფასებისთვის საჭირო დონე განისაზღვრება სადოქტორო პროგრამით.

7.2 უცხო ენის გამოცდიდან თავისუფლდება კონკურსანტი, რომელიც წარმოადგენს უცხო ენის ცოდნის დამადასტრებელ სერთიფიკატს (სერთიფიკატების ჩამონათვალი იხ. დანართის სახით), ან/და უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის დასრულების დამადასტურებელ დოკუმენტს.

7.3 უცხო ენის გამოცის განრიგი მტკიცდება რექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

8 საგამოცდო შედეგების გასაჩივრება

8.1 კონკურსანტი უფლებამოსილია საგამოდო შედეგების გამოქვეყნებიდან 2 დღის ვადაში განცხადებით მიმართოს თსუ საგამოცდო ცენტრს გაეცნოს საგამოცდო ნაშრომს ან/და მოითხოვოს გამოცდის შედეგების გადასინჯვა.

8.2 საჩივრების განხილვის მიზნით, ფაკულტეტის წარდგინების საფუძველზე რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იქმნება საპრეტენზიო კომისია.

9. გასაუბრება

9.1 კონკურსანტი, რომელიც წარმატებით ჩააბარებს გამოცდას უცხო ენაში დაიშვება გასაუბრებაზე.

9..2 გასაუბრების ჩატარების მიზნით, ფაკულტეტის წარდგინების საფუძველზე თსუ-ს რექტორის ინდივიდუალურ ადმინისტაციული-სამართლებრივი აქტით იქმნება დარგობრივი კომისიები.

10. დოქტორანტურაში ჩარიცხვა

10.1 კონკურსანტები, რომლებიც წარმატებით გაივლიან გასაუბრებას ჩაირიცხებიან დოქტორანტურაში.

10.2 ჩარიცხვა ხორციელდება თსუ-ს რექტორის ინდივიდუალურ ადმინისტაციული-სამართლებრივი აქტით ფაკულტეტის წარდგინების საფუძველზე. ჩაირიცხვას ორგანიზებას უკეთებს თსუ-ს სასწავლო დეპარტამენტი.

10.3 ჩარიცხვიდან ერთი თვის ვადაში უნივერსიტეტსა და დოქტორანტურას შორის იდება ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრება მხარეების უფლება-მოვალეობები.